საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. ხარევ. პარტია.

წელიწადი მეხუთე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 7.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 500,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კ. ... 
4 „ 15 „ „
... განცხადებ...
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩერვონც.
4 „ 1 მ. — „

№ 635 შაბათი, დეკემბრის 1, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 500,000

## საზღვარი არ უჩანს

სოციალ-დემოკრატების პოლიტიკურ დაცემას, მშრომელი ხალხისადმი ღალატს საზღვარი არ უჩანს. როგორც დეპეშები გადმოგვცემენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გერმანიის რესპუბლიკანურ კონსტიტუციის წინააღმდეგ კომუნისტების ბრძოლის საკითხში, რეზოლიუცია მიიღო, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მას **არა აქვს არც ორგანიზაციული და არც პოლიტიკური კავშირი კომპარტიასთან.**

ეს ახალი ამბავი არ არის. ვის არწმუნებს სოციალ-დემოკრატია, რომ მას კომპარტიასთან კავშირი არა აქვს. ეს ყველასათვის ცხადია თვით სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრაქტიკული პოლიტიკიდანაც. უდიდესი დამცირება და შეურაცყოფა იქნებოდა გერმანეთის კომპარტიის, რომ მასთან პოლიტიკური და ორგანიზაციული კავშირი ჰქონდეს გერმანეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომლის ხელები მშრომელი ხალხის სისხლით არის მოსვრილი და რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო მუშური ტიურინგიისა და საქსონიის დამხობაში.

მაგრამ სოციალ-დემოკრატია, როგორც ერთგული მონა გერმანეთის ბურჟუაზიისა ამ უკანასკნელის ერთგულობის გრძნობით გაიძახის—არავითარი კავშირი არა მაქვს კომპარტიასთან, შენი ვარ სულითა და ხორცითიო.

თვით სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნითაც არ არის ჰარმონია. მემარჯვენე ფრთა სიმკაცრით იბრძვის მემარცხენე ფრთის წინააღმდეგ. ვოლფის პოზიცია სასტიკად ებრძვის მემარცხენე პოლიტიკას და ლევის ჯგუფის ტაქტიკას კომუნისტებთან ერთიანი ფრონტის საკითხში. ხმების უმრავლესობა სწყვეტს ლევის ჯგუფის მიერ დაარსებულ ორგანოს დახურვას, იმ ლევის, რომელმაც დიდი მოგზაურობისა და მერყეობის შემდეგაც ვერ შესძლო ერთ პოზიციაზედ მტკიცეთ შეჩერება. პარტია იძულებული ხდება თავის ფრაქციების დამორჩილება მოითხოვს, რადგან ქვედა ფენები პარტიისა ამხედრებულია ზედა ფენების წინააღმდეგ.

სოციალ-დემოკრატია ოფიციალურად იღებს რეზოლიუციას, რომელშიაც იგი უარყოფს ყოველგვარ შეთანხმებას კომპარტიასთან, რადგან ეს უკანასკნელნი იბრძვიან კონსტიტუციის წინააღმდეგ (sic).

ეს ნაბიჯი ერთსულოვნური გადაწყვეტილება არ არის მთელი პარტიისა, მემარცხენე ფრთა ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგია. მემარჯვენენი ცდილობენ მემარცხენეთა გაძევებას, ხოლო მემარცხენე პარტიის შიგნიდან დაპყრობას.

უნდა ვიფიქროთ, რომ გამწვავებული სამოქალაქო ბრძოლა კიდევ ბევრს დააკარგვინებს სოც.-დემოკრატიას.

მას გამოეცლება მემარცხენე ფრთა, მაგრამ სოციალ-დემოკრატიის მთლიანი რევოლიუციონიზაცია უტოპიურ ცდით უნდა ჩაითვალოს,

ამ პარტიამ ისე შესტოპა ბურჟუაზიის ნაგავში, რომ მის გაწმენდა შეუძლია მხოლოდ იმ რევოლიუციონურ ცეცხლს, რომელიც გერმანეთში დაინთება კომპარტიის ხელმძღვანელობით და რომელიც ტალახით შეთხუპნილ სოც.-დემოკრატიას ფერფლად აქცევს.

გერმანეთის მდგომარეობა ისეთ ჩიხშია მოქცეული, რომ ამ ცეცხლის გარეშე მისი გადარჩენა შეუძლებელია.

ეს ბოლოს მოუღებს სოც.-დემოკრატიის იმ დაცემასაც, რომელსაც საზღვარი არ უჩანს.

გერმანეთის მუშათა კლასი კიდევ ერთ დოკუმენტს იღებს სოციალ-დემოკრატიისაგან იმის შესახებ რომ მას კომპარტიასთან. და მაშასადამე, რევოლიუციასთან არავითარი კავშირი არ აქვს.

რამდენსაც სოციალ-დემოკრატია ასეთი ნაბიჯებით წინ წავა, იმდენად იგი თანდათან განთავისუფლდება მუშური ელემენტებიდან, იმდენად იგი დარჩება იმათ, რაც არის—დემოკრატიულ და არა სოც.-დემოკრატიულ პარტიაში.

## მიმავალი და მომავალი

მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება დიდ ისტორიულ პროცესის ღრმა ქარტეხილს განიცდის. არა მარტო პოლიტიკური და ეკონომიური სფეროები შედიან ტრანსფორმაციისა, ცვალებადობისა და გადახალისების პერიოდში, არამედ ყოველი საზოგადოებრივი მოვლენა ემორჩილება რღვევა-შენების საერთო ორომტრიალს.

როგორც მე-12-ე საუკუნის მესამოცე წლებში ჩვენში ორ გვარი საზოგადოებრიობა იყო ჩამოყალიბებული, პირველი ფეოდალური, არისტოკრატიული შეგნებითა და შემეცნებით დამძიმებული, ხოლო მეორე ლიბერალური სულისკვეთებითა და დემოკრატიული იერით შეღებილი, ისე დღესაც ჩვენში ორგვარი საზოგადოებრიობა ჩიქმნება, „მამათა და შვილთა ბრძოლა“ მე-19 საუკუნის ინტელიგენციაში, დღეს მეტი სიღრმით მეტი დაპირისპირებით, მეტი სიცხოველით სწარმოებს.

არსებითად აქ ერთი გვარეობითი პროცესის სხვა და სხვა მომენტებია. მაშინაც და ეხლაც იშლებოდა განსაზღვრული სოციალური წყობილება, განსაზღვრული საზოგადოებრიობა და იქმნებოდა ახალი სოციალური ცხოვრება, ახალი საზოგადოებრიობა.

გადასვლა ფეოდალური კულტურიდან ბურჟუაზიულ კულტურაზედ და ბურჟუაზიულიდან სოციალისტურზე განსაზღვრავს ამ ეპოქების ძალთა დაპირისპირებას, მიმავალ და მომავალ საზოგადოებრიობის შინაარსა და ფორმას.

დღეს ჩვენში არსებობს ორგვარი საზოგადოებრიობა. ერთი შეადგენს წასულის ნაშთებს, ხოლო მეორე მომავლის ჩანასახებს. არც ერთ საბოლოოდ წელ გამართული და მოლონიერებული არ არის. პირველი დეგრადაციის, დაცემისა და განადგურების პერიოდშია შესული, მეორე აღორძინების, დამკვიდრების და განვითარების პირველ საფეხურზედ სდგას.

პირველთა წრეს ავსებს ბურჟუაზიული და წვრილ ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რომელიც ჩვენში გამკვიდრდა მე-19 საუკუნის მიწურულში, მეორეს ავსებს სოციალისტური ინტელიგენცია, რომელიც სულ ახალი პერიოდის ნაშობია და სულ სხვაგვარ წრეში აღზრდილი.

ეს სადემარკაციო ხაზი არ წარმოადგენს მარტო პოლიტიკურ ფიზიონომიის საკითხს ამ სიტყვის პარტიული მნიშვნელობით. თვით საზოგადოებრივი ცხოვრების იმანენტური განვითარების შედეგია ასეთი ძალების გამოყვანა ისტორიის სარბიელზედ, რომელთა რიცხვი არ განისაზღვრება პოლიტიკურ პარტიათა წრეში მოქცეულ ელემენტთა რაოდენობით.

მიმავალ საზოგადოებრიობას მიეკუთვნება მრავალი ელემენტი, რომელიც მემარჯვენეთა პარტიების რიგებში არ არის მოქცეული მაგრამ წასულს ეკუთვნის თავისი შეგნებით, მდგომარეობით, მთელი არსებით. მომავალ საზოგადოებრიობის შემადგენელი ნაწილი არის ისეთი ელემენტიც, რომელიც კომპარტიისა და საბჭოთა წყობილების აქტიურ დამცველ პარტიების გარეშე სდგას, მაგრამ მომავალს ეკუთვნის მისი სოციალური შეგნებით, მდგომარეობით და არსებით.

ის საზოგადოებრიობა, რომელიც არსებობდა ამ 5—10 წლის წინეთ აღარ არსებობს დღეს. არ არსებობს არც ის საზოგადოებრიობა, რომელსაც ჩვენ ვხედავდით ამ 3 წლის წინათ. დიდმა ისტორიულმა ქარტეხილმა ორად გააპო არა მარტო პოლიტიკური ძალები, რომელთა შორის ერთნი კაპიტალის პოზიციებს იცავს, ხოლო მეორე შრომის ბარიკადებს, არამედ ორად გაჰყო საზოგადოებრიობაც.

გუშინდელი პროგრესისტი, საზოგადო მოღვაწე—ინტელიგენტი, დღეს აღარ სჩანს საზოგადოებრიობის ფონზე. იგი პასიური, უმოქმედო და უმოძრავო ელემენტია. არსებითად იგი რეგრესისტი და მესჩანია დღევანდელ ცხოვრებისათვის. სამაგიეროდ ახალი ფიგურები, ახალი ძალები, ახალი სახეები მოდიან საზოგადოებრიობის ასპარეზედ, ეს ძალები პროგრესიულია, შემოქმედი და ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლი ძალებია

დააკვირდით ჩვენს ინტელიგენციას, თვალი გადაავლეთ ჩვენს საზოგადოებრივობის და თქვენ დაინახავთ ამ გარემოებას, გაყოფას, დაპირისპირებას.

ყოველი ახალი დღე მომავალი საზოგადოებრივობის სიცოცხლის შემოკლებაა, ყოველი ახალი დღე მომავალი საზოგადოებრიობის ზრდის და აღორძინების დღეა.

იქნებით პოლიტიკური მუშაკი, კულტურული მოღვაწე თუ პოლიტიკური პედაგოგი და ვიწრო სპეციალისტი მაინც ვერ ასცდებით ამ სადემარკაციო ხაზს, თუ უკიდურესი პასივიზმით მოქალაქობრივ თვითმკვლელობას არ შეასრულებთ.

დღევანდელი ეპოქა ასეთ კატეგორიული ალტერნატივით მიდის ყოველ აქტიურ მოქალაქესთან მან იგი უნდა ჩარიცხოს ან მიმავალ, ან მომავალ საზოგადოებრივობის კადრში.

საზოგადოებრივ ძალთა კრისტალიზაცია იწვევს ერთი ძალთა ლიფერენციაციას ხელ-ახალი ინტეგრაციისათვის.

მთლიანობა ძველი საზოგადოებრივობა საბოლოოდ დაშლილია, დანაწილებულია შემადგენლ ელემენტებად, მომხდარია დეფერენციაც, ეხლა უკვე იწყება შეკრება, შეჯგუფება, ინტეგრაცია ორ სხვა და სხვა შინაარსისა და ფორმის საზოგადოებრიობის სრულქმნისათვის.

ამ გზაჯვარედინზედ სდგას ჩვენში ყოველი აქტიური მოქალაქე. იგი ან იქეთ უნდა წავიდეს ან აქეთ.

ან მიმავალ საზოგადოებრიობის სანტიმენტალიზმი, რომანტიზმი—წასულისაკენ ცქერა და წასულის ფიქრი უნდა ირჩიოს მან, ან მომავალ საზოგადოებრივობის სოციალური იდეალიზმი, რკინის ნებისყოფა, ახალი ცხოვრების ფერხულში ჩაბმა უნდა მიიღოს.

ჩვენთვის აქსიომატიურ დებულად ყოველთვის მიჩნეული იყო ის ჭეშმარიტება, რომ წასულის დიდებით აწმყოს ბედშაობას ხელდაკრეფილი ვერ მივეგებებით და მომავლის იმედს ისტორიის ჩარხის უკუღმა დაბრუნებაში ვერ დავსახავთ.

არ. შოპენჰაუერი იტყოდა, რომ ვისაც პიროვნული სიამაყისათვის არაფერი გააჩნია, ის ეროვნული სიამაყით გამოდისო. შეიძლება ის სავსებით მართალი არ იყოს, მაგრამ ის სავსებით მართალი არ იყოს, მაგრამ ის კი ჭეშმარიტებაა, რომ ეროვნული ხიამაყე ჩვენს ნაციონალისტურ ელემენტებს წასულის გაზვიადების ფორმებში აქვთ წარმოდგენილი. ეს იმ უბრალო გარემოებითაც აიხსნება რომ მათი უბადრუკობა საამაყოდ ვერაფერს იძლევა და ისე 12 საუკუნის „ოქროს ხანას“ უნდა მიმართონ ნაციონალიზმის ცეცხლის დანთებისათვის.

ეს მიმავალი საზოგადოებრიობის სპეციფიური, დამახასიათებელი თვისებაა. მომავალი საზოგადოებრიობა კი თავის იდეალს აწმყოში და მომავალში ეძებს.

იგი სათანადოთ აფასებს წასულსაც, როგორც ლორდ კერზონის მიერ ავანტიურაში გახვეულ ბერძნების დიდებას ვერას შემატებს ელინური ფილოსოფიის გენია, ისე შოთას გენიალობაზედ მჭერმეტყველური სიტყვების წარმოთქმა ერთი წუთითაც წინ ვერ წასწევს ეროვნულ კულტურას.

მომავალი საზოგადოებრივობის მოღვაწეობა მაქსიმალურ ინტელექტუარულ და მორალურ ენერგიის გაღებაშია, რაც მშრომელი ხალხის კლასობრივ და ეროვნულ ინტერესთა უზრუნველყოფი საწინდარია.

სერ. ამაღლობელი.

## პრესა

### სასოფლო მეურნეობა აჭარისტანში

ბათომის გაზეთ „ბრძოლა“ (№ 184) აღნიშნული სათაურით მეთაურ წერილში სწერს:

შედარებით აღმშენებლობის სფეროში სასოფლო მეურნეობის აღორძინების და გაფართოების საკითხი ყველაზე უფრო თანადროული და პირველხარისხოვანია.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ქვაკუთხედი სასოფლო-მეურნეობაა. ამიტომ არის, რომ საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა სასოფლო მეურნეობის აღორძინების და ინტენსიფიკაციის საქმეს.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას კარგად ესმის ამ საკითხის მნიშვნელობა და იგი სათანადო ნაბიჯებსაც სდგამს ამ მიმართულებით.

საქართველოში, დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა სწარმოებს ინტენსიური მუშაობა პატრიარქალურ-დრადიციულ წესებზე დამყარებულ მეურნეობის კულტივიზაციისათვის. სამელიორაციო მუშაობა, როგორიც არის—არხების გაყვანა, ჭაობების ამოშრობა, მდინარეთა ნაპირების გამაგრება და სხ.

არის დასაწყისი იმ დიდი მუშაობისა, რომელიც უნდა შესრულდეს ს.-მეურნეობის განვითარებისათვის.

აჭარისტანში სასოფლო-მეურნეობის აღორძინებისათვის ნიადაგი მზად არის. აგრარული რეფორმის ჩატარებამ და ფეოდალური ნაშთების სრულმა ლიკვიდაციამ შესაძლებელი გახადა სასოფლო-მეურნეობის განვითარებისათვის სათანადო ნაბიჯების გადადგმა.

სასოფლო-მეურნეობის კულტურულ ნიადაგზე დაყენებას მოითხოვს არა მარტო ცხოვრების ახალი პირობები, არამედ სახნავ სათესი მიწების სიმცირე.

ცნობილია, რომ აჭარელ ფუხარას არ ყოფნის მიწა და იგი იძულებული ხდება სხვა საშუალებითაც დაირჩინოს თავი.

ამ ნაკლის გამოსწორება შეიძლება აჭარისტანის სასოფლო-მეურნეობაში გაუმჯობესებული იარაღების შეტანით, ხელოვნური სასუქის ხმარებით და სხვა საშუალებებით.

მიწად-მოქმედების კომისარიატი შეძლებისადაგვარად ღებულობს სათანადო ზომებს აჭარისტანში სასოფ.-მეურნეობის განმტკიცებაში, მაგრამ საჭიროა კოლოსალური ფინანსიურ ტეხნიკური რესურსები და აგრონომთა საგრძნობი კადრი, რომ დაწყებული მუშაობა ნაყოფიერად დაგვირგვინდეს.

აჭარისტანს საკუთარი ძალ-ღონით ამ მუშაობის შესრულება გაუჭირდება, რის გამოც საჭიროა ცენტრის დახმარება.

აჭარისტანის სოფელს აგრონომიული დახმარება ესაჭიროება; ჩვენ უნდა მივიღოთ ენერგიული ზომები, რათა ეს დახმარება სოფელს გაეწიოს.

საკუთარი ძალ-ღონით ამას ჩვენ ვერ შევძლებთ.

ცხადია, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება ამ მუშაობაში აჭარისტანს შეძლებისადაგვარად დახმარებას გაუწევს.

საჭიროა მხოლოდ ამ საკითხის უფრო კარგად დასმა და მისი ყოველმხრივად აწონდაწონვა.

## რადიო-ცნობები

(„ზაკროსტას“ ცნობები 30 ნოემბრიდან)

— **სოც.-დემ. პარტია მტკიცედ სდარაჯობს ბურჟუაზიულ რესპუბლიკას.**

— **გერმანეთის ექიმთა კავშირმა გაფიცვა გამოაცხადა.**

— **ინგლისი „საბოტაჟს უცხადებს“ საკანტროლო კომისიას.**

— **სეპარატისტულმა მთავრობამ თავისი თავი დაშლილად გამოაცხადა.**

— **შტეგერვალდის ცდამ მთავრობის შესადგენად უნაყოფოდ ჩაიარა.**

— **მთავრობის შედგენა ებერტმა მიანდო ცენტრის მეთაურს მარქსს.**

— **ფინანსთა მინისტრმა ლიუტერმა მოითხოვა განთავისუფლება.**

— **გერმანეთის პრეზიდენტი ებერტი გამოირიცხა პროფკავშირიდან.**

— **8 საათის სამუშაო დღეს „ვადა გაუვიდა“.**

— **ელისა, ეკვენშეიმისა და გიდლესჰეიმის სოც.-დემ. ორგანიზაციებმა დაადგინეს ორგანიზაციულად შეუერთდნენ კომპარტიას.**

— **რეინის 15 კომისია გადაკეთდა აღმასრულებელ საბჭოდ.**

— **მახნო უარჰყოფს ყოველგვარ კავშირს ს ს რ პ. წარმომიდგენლობასთან.**

— **საბერძნეთში გამოცხადდა რესპუბლიკა.**

— **კორეის სატახტო ქალაქში სეულში იაპონია ჰხსნის უნივერსიტეტს.**

— **იაპონიაში არსდება კომპარტია.**

— **ჩეხო-სლოვაკიის სტუდენტობა პროტესტს აცხადებს რუს ემიგრანტ-სტუდენტების წინააღმდეგ.**

## გერმანეთის ამბები

სოც.-დემ. სდარაჯობენ ბურჟუაზიულ რესპუბლიკას.

გერმანეთის სოც.-დემ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, განიხილა რა კომუნისტების ბრძოლის საკითხი გერმანეთის რესპუბლიკის კონსტი-

ტუციის წინააღმდეგ, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მეტად კატეგორიულად აცხადებს, რომ სოც.-დემ. პარტიას არავითარი ორგანიზაციული, ან პოლიტიკური შეთანხმება არა აქვს კომუნისტურ პარტიასთან.

**ახალი მთავრობის შედგენისათვის.**

ახალი მთავრობის შედგენის საკითხის გარშემო გრძელდება მოლაპარაკება. ყველაზედ ძლიერი მიმართულება შტეცერვალდის მიერ მთავრობის შედგენისაკენ არის, შტეგერვალდი წარმოადგენს ბურჟუაზიულ პარტიებს, დემოკრატებიდან მოყოლებული ნაციონალისტებამდე.

**გართულების მოლოდინში.**

პარიზის ცნობით, გერმანეთის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ალბერტის დამარცხება საბუთს იძლევა ველოდოთ კონფლიქტს ებერტსა და რეიხსტაგს შორის.

**ექიმთა გაფიცვა.**

გერმანეთის ექიმთა კავშირმა თავის უკანასკნელ ყრილობაზედ ლეიპციგში, 27 ნოემბერს დაადგინა გამოაცხადოს გაფიცვა.

**ინგლისი „ხაზოტავს უცხადებს" საკანტროლო კომისიას.**

როგორც „მატენი" იუწყება, ინგლისის მთავრობამ თავის წარმომადგენელს საკანტროლო კომისიაში ისეთი ხასიათის ინსტრუქცია გაუგზავნა, რომ ინგლისის მონაწილეობა ამ კომისიაში თითქმის გაუქმებულად შეიძლება ჩაითვალოს. გენერალმა ბინგხემმა ისიც კი განაცხადა, რომ საკანტროლო კომისიის ამოცანას თითქმის შესრულებულად სთვლის, რადგანაც კომისიის მიზანი იყო გერმანეთში ომის შემდეგ დარჩენილი სამხედრო მასალის მოშორება, ის სამხედრო მასალა კი, რომელსაც ამ ჟამად ამუშავებს გერმანეთი, ერთალიგის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს.

**პარიზი.** „ტანი" ყურადღებას აქცევს იმ ორჭოფულ მდგომარეობას, რომელშიაც შეიძლება აღმოჩნდეს ბრიტანეთის მთავრობა ლორდ კერზონის მიერ 14 აგვისტოს „არა ლეგალურად" წოდებულ ოპერაციის ნაყოფის განაწილების დროს.

**რურის მრეწველებთან შეთანხმებისათვის.**

„ფოსიშე ცეიტუნგის" ცნობით. პარიზში ოფიციალურ წყაროებიდან იუწყებიან, რომ ინგლისი, ალბად, დასთანხმდება მონაწილეობა მიიღოს საფრანგეთ-ბელგიის შეთანხმებაში რურის მრეწველებთან.

დორტმუნდიდან იუწყებიან, რომ საერთაშორისო ინჟენერთა კომისიისა და მანნესმანის კონცერნის შორის დაიდვა ცალკე ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ნახშირის მიწოდება ჰოლანდიისათვის შეიძლება განახლებულ იქმნეს დიუსელდორფის შეთანხმების ფარგლებში. ამ მეთანხმების წყალობით, 12 მაღაროს მუშებს საშუალება ეძლევათ შეუდგნენ მუშაობას.

**სეპარატისტული მთავრობის თვით-დაშლა.**

დიუსელდორფიდან მიღებულ ცნობებით, დროებითმა სეპარატისტულმა მთავრობამ საფრანგეთის კომისარს მიჰმართა წერილობითი განცხადებით, რომელშიაც თავის თავს სთვლის დაშლილად. საყურადღებოა ამ მთავრობის გულწრფელი განცხადება, რომ იგი იძულებულია თავის თავი დაშლილად გამოაცხადოს, რადგანაც მის რიგებში ბევრი უპატიოსნო და უნიჭო ხალხი მოჰყვა.

**მთავრობის კრიზისი.**

ბურჟუაზიულ პარტიების შეთანხმებას, ბურჟუაზიული ბლოკის შედგენის საქმეში, რომელიც აყენებდა მინისტრთა სიას შტემერვალდის მეთაურობით, წინააღმდეგობა გაუჩნდა, რადგანაც დემოკრატიულ პარტიაში თავი იჩინა კრიზისმა, დემოკრატები მემარჯვენე ფრთა, სიმენსისა და გოდგეიმის მეთაურობით, მოითხოვს დემოკრატების აქტიურ მონაწილეობას მთავრობაში; მემარცხენე ფრთა კი, ერკელენცისა და ფიშერის ხელმძღვანელობით, ემხრობა ნეიტრალიტეტის დაცვას მთავრობისა და ბურჟუაზიული ბლოკის მიმართ. პარტიის მთლიანობის დაცვის მიზნით, დემოკრატებმა სხვა პარტიებს მიჰმართეს წინადადებით, გაგრძელებულ იქმნეს შტრეზემანისებული საგარეო პოლიტიკა. შტეგერვალდი და შტრეზემანი დასთანხმდნენ შევიდნენ მთავრობაში, მხოლოდ იმ პირობით, რომ დემოკრატებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ მასში. დემოკრატიულ პარტიის ორივე ჯგუფის ძალა დაახლოვებით თანაბარია: მემარჯვენე ფრთა წარმოადგენს მრეწველობის ინტერესებს, ხოლო მემარცხენე—წვრილი ბურჟუაზიისა და მოხელეებისას. მემარცხენე ფრთა სცდილობდა შეედგინა მთავრობა სახალხო პარტიისა, ცენტრისა და დემოკრატების წარმომადგენლებისაგან, დემოკრატ კოხის, ან სახალხო პარტიის წევრის კარდორფის მეთაურობით, მაგრამ ამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა, რადგანაც მას წინააღმდეგობა გაუწიეს პარტიის მემარჯვენე ფრთამ, სახალხო პარტიამ და ცენტრმა.

— ნაციონალისტების საპარლამენტო ფრაქციამ ღია წერილით მიჰმართა ებერტს, რომელშიაც პროტესტს აცხადებს პარლამენტის ჩვეულების დარღვევის გამო, რომლის ძალითაც კაბინეთის შედგენა უნდა მიენდოს ოპოზიციონურ პარტიებს. წერილში აღნიშნულია ისიც, რომ, რაკი გამოირკვა ებერტის ყოველგვარი ცდის უნაყოფობა, მთავრობის კრიზისი შემდეგი გაგრძელება არაფრით არ შეიძლება იყოს გამართლებული; მით უმეტეს, რომ ყოველდღიურად უარესდება ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა ამისათვის რეიხსტაგი, რომელიც ვერ გამოჰხატავს პარტიულ ძალების ნამდვილ შეფარდებას. უნდა დაშლილი იქმნეს.

— ნაციონალისტურმა პარტიამ დაავალა თავის ფრაქციას პრუსიის ლანდტაგში მოლაპარაკება აწარმოოს სხვა ბურჟუაზიულ პარტიების ფრაქციებთან, პრუსიაში ბურჟუაზიული მთავრობის შექმნის საკითხის შესახებ. ცენტრისა, დემოკრატიული და სახალხო პარტიის ფრაქციებმა პრუსიის ლანდტაგში უარი სთქვეს პრუსიის კოალიციონური მთავრობის დათხოვნაზე.

—შტეგერვალდის ცდამ, შეექმნა საიმპერიო მთავრობა ბურჟუაზიული ბლოკის საფუძვლებზედ უნაყოფოდ ჩაიარა. ამ ჟამად მოლაპარაკება სწარმოებს, შეიქმნას მთავრობა ცენტრისა, სახალხო და დემოკრატიულ პარტიების წარმომადგენლებისაგან. შტეელის, ან მარქსის თავმჯდომარეობით, იმ იმედით, რომ სოც.-დემ. კეთილი განწყობილება ექნებათ ასეთ მთავრობასთან. თუ ეს ცდაც უნაყოფოდ დამთავრდა, მაშინ განზრახულია რეიხსტაგის დაშლა, ამასთანავე მთავრობის საქმეებს განაგრძობს შტრეზემანი.

— ებერტმა კაბინეთის შედგენა მიანდო ცენტრის მეთაურს მარქსს. მარქსი აპირებს შეადგინოს მთავრობა ცენტრისა, დემოკრატიულ და სახალხო პარტიების წარმომადგენლებისაგან, იმ იმედით, რომ ამ მთავრობასთან კეთილი განწყობილება ექნებათ სოც.-დემოკრატებს.

— ფინანსთა საიმპერიო მინისტრმა, ლიუტერმა ებერტს მიჰმართა თხოვნით, გაანთავისუფლოს იგი თანამდებობისაგან ოკუპაცია ქმნილ ოლქებში შექმნილ მდგომარეობის გამო. ლიუტერის წერილი ცდა არის დააჩქაროს მთავრობის კრიზისის გადაწყვეტა.

**კომუნისტური დემონსტრაციის გამოძახილი.**

26 ნოემბერს შემდგარ დემონსტრაციის გამო დატუსაღებული პრუსიის ლანდტაგის დეპუტატი ქალი როზა ვოლფშტეინი და 77 კომუნისტი მიეცემიან განსაკუთრებულ სასამართლოს. მათ ბრალად ედებათ აჯანყების მოწყობა და უმაღლეს სამხედრო სარდლობის დადგენილებათა დარღვევა.

პრუსიის ლანდტაგში, თავმჯდომარემ ლეგნერმა, გამოაქვეყნა რა კომფრაქციის პროტესტი დეპუტატი ქალის როზა ვოლფშტეინის დაპატიმრების გამო, აცნობა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტების თანახმად, ვოლფშტეინი დაპატიმრებულია აღკრძალულ კომუნისტურ დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის და ამისათვის მისი დაპატიმრება არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც დეპუტატის ხელშეუხებლობის დარღვევა.

კომუნისტმა მეიერმა მოითხოვა ვოლფშტეინის განთავისუფლება და აღნიშნა, რომ იგი დაპატიმრებულია არა დემონსტრანტთა შორის, არამედ გზაზედ.

შინაგან საქმეთა მინისტრი, ზევერინგი კომუნისტების წინააღმდეგ მიმართულ საბრალმდებლო სიტყვაში უარჰყოფდა მეიერის განცხადებას.

ლანდტაგმა სოც.-დემ. და ბურჟუაზიული ხმების უმრავლესობით უარჰყო კომუნისტების მოთხოვნილება.

**კომუნისტების დევნა.**

შტუტგარდტში მოკლულია პოლიციის კომისარი, როდესაც პოლიცია სცდილობდა დაეპატიმრებინა კომუნისტების არა ლეგალური კრება. კომუნისტები მიიმალნენ.

**ებერტის გამორიცხვა პროფკავშირიდან.**

მეუნაგირეთა პროფკავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა: „პროფკავშირის წევრი, ებერტი, № 16229 კავშირის წესდების მე—4 მუხლის დარღვევისათვის, გამოირიცხოს კავშირის წევრთა რიცხვიდან".

მე—4 მუხლის თანახმად, ებერტი დაშნაშავეა პროფკავშირის ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედებაში. ამ რიგად, რესპუბლიკის პრეზიდენტი აღარ არის პროფკავშირის წევრად.

**რვა საათის სამუშაო დღე.**

ნახევრად ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია: „რადგანაც 8 საათის სამუშაო დღის კანონს გაუვიდა ვადა, ამისათვის გერმანეთში ამ ჟამად აღარ არსებობს კანონის მიერ დაცული 8 საათის სამუშაო დღე.

**საქსონიის ლანდტაგში.**

საქსონიის ლანდტაგმა დახურულ სხდომაზედ განიხილა საბჭოთა მთავრობასთან ხელშეკრულების პროექტი რუსეთში პურის შეძენის შესახებ. მემარჯვენე პრესის ცნობით, ხელშეკრულება დამტკიცებული არ არის.

— საქსონიის ლანდტაგში შინაგან საქმეთა მინისტრმა ლიბმანმა, აღნიშნა რა, რომ რეიხსვერის მოქმედება განუწყვეტელი ძალადობაა, გამოაქვეყნა ოფიციალური საბუთები, რომლებიც ამტკიცებდა შავი რეიხსვერის გამოსვლას მუშათა ორგანიზაციების წინააღმდეგ. მინისტრმა განაცხადა, რომ საქსონიის მთავრობას არ შეუძლიან იყოს პასუხისმგებელი რეიხსვერის ტერორისტული მოქმედებისათვის. სარწმუნოების მინისტრმა გამოაქვეყნა დაპატიმრებულ მასწავლებლების წერილი, რომელშიაც უკანასკნელნი აცნობებენ, თუ როგორ დევნასა და დამცირებას განიცდიან. სახალხო პარტიის წინადადებით, დაარსდა საპარლამენტო კომისია, რომელმაც უნდა გამოიძიოს ცეიგნერის საქმე, რომელმაც განაცხადა, რომ რამდენჯერმე სცდილობდენ მის მოსყიდვას, მაგრამ უნაყოფოდ.

**ლტოლვა კომპარტიისაკენ**

ენში, ეკკენჰეიმში და გილლესჰეიმში სოც.-დემ. ორგანიზაციებმა გადასწყვიტეს ორგანიზაციულად გამოვიდნენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან და შეუერთდნენ კომპარტიას,

**გერმანეთის რკინის გზები**

შრომის სამინისტროს სხდომაზედ, მინისტრმა ბრაუნმა განაცხადა, რომ 28 ნოემბერს გერმანეთის რკინის გზები სწყვეტენ ვალების გადახდას 29 ნოემბერს დანიშნულია მოვალეების კრება. მოვალეთა უმრავლესობას შეადგენენ მსხვილი მრეწველები, რომლებიც დიდი ხანია სცდილობენ რკინის გზები კერძო პირთა ხელში გადავიდეს.

**კომუნისტური პარტიის აღკრძალვისათვის.**

**მოსკოვი.** პროფინტერნის აღსასრულებელ ბიუროს წევრმა ხამერმა „როსტას" თანამშრომელთან საუბარში განაცხადა, რომ სექტმა თავისი უფლებით, მთავრობის დაუკითხავად, აღკრძალა კომპარტია გერმანეთში, ეს იმის მაჩვენებელია, რომ გერმანეთში სექტი განუსაზღვრელი მბრძანებელია და დემოკრატია მის ფეხთა ქვეშ იმყოფება, ის, რაც ვერ გაბედა გაეკეთებინა იტალიეთში მუსოლინიმ, გააკეთა ფაშისტურმა დიქტატორმა გერმანეთში. ფაქტებით მტკიცდება, რომ გერმანეთში შეიქმნა თეთრი დიქტატურა, რომელიც მთლიანად პროლეტარიატის წინააღმდეგ არის მიმართული. ბურჟუაზიის გალაშქრება დაიწყო რევოლიუციონურ ფაბკომების ყრილობის აღკრძალვით, კომუნისტური პრესის დახურვით და გერმანეთის სხვადასხვა ქალაქებში კომუნისტების მეთაურების დაპატიმრებით საქსონიის ეგზეკუციას მიზნად ჰქონდა საქსონიის პროლეტარიატის განიარაღება. საქსონიის პროლეტარული რაზმები მეტად დიდი მუქარა იყო ბურჟუაზიისათვის და ამისათვის იგი დაშალეს. განამტკიცა რა თავისი მდგომარეობა საქსონიისა და ტიურინგიის დარბევით, სექტმა გაილაშქრა კომუნისტებზე და ფიქრობდა, რომ მას შეუძლიან თავისი დადგენილებით მოსპოს მასიური პარტია, რომელიც ითვლის 400,000 წევრს.

კომპარტიის აღკრძალვა დააჩქარა მისმა ზრდამ, მისი გავლენის გაძლიერებამ მუშათა მასებზე და იმ გარემოებამ, რომ კომპარტია მზად იყო ჩასდგომოდა სათავეში რევოლიუციონურ მოძრაობას. მაგრამ სექტის აღკრძალვა ვერ მოსპობს კომპარტიას, პირიქით, იგი გააძლიერებს მის მოქმედებას. ყველგან, პროფკავშირებისა, ფაბრკომებისა, თუ უმუშევართა კრებებზედ, ქუჩებში, თეატრებში, მუშათა უბნებში, ყველგან, სადაც კი შეიკრიბება ეხლანდელი მდგომარეობით შეწუხებული ხალხი, იწარმოებს აგიტაცია რევოლიუციისა და კომუნიზმისათვის. მასიური პარტია, რომელსაც 400,000 წევრი ჰყავს, არავის მოასპობინებს თავს. ფარული მუშაობა პარტიისათვის იქნება სასტიკი სკოლა, ეს მუშაობა გააძლიერებს, გააკაჟებს და მოამზადებს მას იმ ამბების სახელმძღვანელოდ, რომელნიც აუცილებელია ახლო მომავალში.

**იტალიეთის პროტესტი.**

**რომი.** იტალიეთის მთავრობამ საფრანგეთს გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც მოითხოვს იტალიეთის მონაწილეობას იმ ხელშეკრულებებში, რომელთაც სდებს საფრანგეთის მთავრობა გერმანეთის მრეწველებთან. საფრანგეთის მთავრობამ უპასუხა, რომ ანტანტისათვის ნახშირის რაოდენობის გადიდებას მხედველობაში ჰქონდა, რომ იტალიეთიც ისარგებლებდა ამით.

# უცხოეთი

**მახნოს გასამართლება.**

ვარშავის საოლქო სასამართლოში დაიწყო მახნოს, მისი მეუღლის და აგრეთვე მათი დამქაშების დომაშენკოს და ხმარას საქმის გარჩევა. მათ ბრალდება გალიციაში შეიარაღებულ აჯანყების მოწყობა.

საბრალმდებლო ოქმში აღნიშნულია, რომ მახნომ შარშან მოლაპარაკება გამართა ვარშავაში საბ. სოც. რეს. კავშირის რწმუნებულის თანამშრომლებთან—მაქსიმოვიჩთან და აბოლტინთან თავის მდივნის კრასნოვოდსკის საშუალებით, რომელიც იმავ დროს ითვლებოდა პოლონელ „ოხრანკის" სამსახურში და, ამ რიგათ, დაწვრილებით მიქონდა იქ ცნობები მოლაპარაკების მსვლელობის შესახებ. მთელი ბრალდება აშენებულია პროვოკატორ კრასნოვოდსკის ჩვენებაზედ, რომელიც სთხზავდა მიწერ-მოწერას მახნოსა და მაქსიმოვიჩის შორის, ალბათ, „ოხრანკის" შეკვეთით, მახნო უარყოფს მაქსიმოვიჩთან მიწერ-მოწერას ამ ჟამათ ვარშავაში მყოფმა მაქსიმოვიჩმა რუს. დეპ. სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მას თვალითაც არ უნახავს კრასნოვოლსკი.

მაქსიმოვიჩს და აბოლტინს ბრალდება მონაწილეობა აღმოსავლეთ გალიციაში აჯანყების მოწყობაში.

თავის დროზედ, კრასნოვოლსკი, რომელიც რამოდენიმეჯერ მივიდა საბ. სოც. რეს. კავშირის პოლიტიკურ წარმომადგენლობაში [illegible] სხვა პროვოკატორების თანხლებით დაკავებული იყო ეს. მას აღმოაჩნდა „ოხრანკის" [illegible] აგენტის მოწმობა. საბ. სოც. რეს. კავშირის პოლ. წარმომადგენლობამ გაუგზავნა მაშინ პოლონეთის მთავრობას პროტესტის ნოტა პოლონელ საიდუმლო პოლიციის პროვოკაციის წინააღმდეგ. ხოლო პოლონელ მთავრობის საპასუხო ნოტა უარყოფდა კრასნოვოდსკის „ოხრანკაში" სამსახურს. ეხლა კი საბრალმდებლო ოქმი გულახდილათ აღიარებს ამას.

**მახნოს პროცესი.**

**ვარშავა.** სასამართლოში მიცემულ ჩვენებებში მახნო უარჰყოფს ყოველგვარ კავშირს ს. ს. რ. კ. წარმომადგენელთან და აღნიშნავს, რომ საბრალმდებლო ოქმი აშენებულია პროვოკატორ კრასნოვოლსკის ყალბ ჩვენებაზედ. მახნო აცხადებს, რომ მან რამდენჯერმე მიჰმართა პილსუდსკისა და პოლონეთის მთავრობის სხვა წევრებს წერილობითი წინადადებით, სადაც იგი სთხოვდა გამოეყენებინათ მისი თავი ბოლშევიკებთან ბრძოლაში.

მოწმე პოლიციის ობერ-კომისარი პიოლკევიჩი ადასტურებს, რომ კრასნოვოლსკის წარმომადგენლობაში ილებდნენ, როგორც პოლონეთის საიდუმლო პოლიციის აგენტს.

**ინგლისის მუშათა პარტია და ს. ს. რ. კ.**

**ლონდონი.** რათა ხელი შეუშალოს მუშათა პარტიის კამპანიას, რომელსაც იგი აწარმოებს ს. ს. რ. კ. ურთიერთობის აღდგენის სასარგებლოდ, ინგლისის მემარჯვენე პრესა ხელმეორედ იწყებს ჭორებისა და შეუძლებელ ამბების გავრცელებას რუსეთის შესახებ. კომერციულ წრეებში აღშფოთებული არიან ამ ბოროტ კამპანიის წარმოების გამო, რომელიც ხელს უშლის ამ ორი ქვეყნის საქმიან დაახლოვებას.

**საარჩევნო კომპანიისათვის.**

**ლონდონი.** საარჩევნო მიტინგებზე მუშები მტრულად ექცევიან ლიბერალურ პარტიის ცნობილ მეთაურებს. ასკვიტსა და ჩერჩილს მიტინგებზედ არა ერთხელ უყვირეს მუშებმა „ძირს".

**დანია-რუსეთის ვაჭრობა.**

**კოპენჰაგენი.** 27 ნოემბერს მოსკოვში გამოემგზავრა სამრეწველო დელეგაცია, რომელმაც მოლაპარაკება უნდა აწარმოოს დანიიდან სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოტანის შესახებ რუსეთში.

**ფინეთის საგარეო პოლიტიკა.**

**ჰელსინგფორსი.** ფინეთის სეიმში საგარეო საქმეთა ბიუჯეტის განხილვის დროს, სოც.-დემ და შვეციის დეპუტატმა ბაუმანმა სასტიკად გააკრიტიკეს მთავრობის საგარეო პოლიტიკა, რომელიც, სეიმის ნების წინააღმდეგ, მიდის პოლონეთთან შეთანხმების საშიშის გზით. მათ წინადადება შეიტანეს შემცირდეს ხარჯი, რომელიც გადადებულია ფინეთის მონაწილეობისათვის ბალტიის ქვეყნების და პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრების კონფერენციაზედ, და ხელი შეუწყოს მთავრობამ, რათა ს. ს. რ. კ. და გერმანეთი მიღებული იქმნენ ერთა ლიგაში.

გარეშე საქმეთა მინისტრმა გზა აუქცია პირდაპირ პასუხს და განაცხადა, რომ ფინეთს არ შეუძლიან უარი სთქვას თავის ინტერესებზედ კარელის საკითხი და ამისათვის მეგობრობა უნდა გაუწიოს მის მომხრე ესტონეთსა და პოლონეთს, ამასთანავე უნდა ეცადოს მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყაროს ს. ს. რ. კ. ხელშეკრულების საფუძველზედ. უპასუხებს რა შეკითხვაზედ, მინისტრმა აღნიშნა, რომ მთავრობას არა აქვს მისწრაფება შეკრას სხვა სახელმწიფოებთან თავდაცვითი კავშირი და რომ ფინეთმა უნდა იზრუნოს დამოკიდებულ თავდაცვის უნარიანობაზედ.

მემარჯვენეები წინაღმდეგნი იყვნენ განეხილათ საგარეო პოლიტიკა ბიუჯეტთან დაკავშირებით. კონფერენციაზედ გადადებულ ხარჯების შემცირეის შესახებ წინადადება უარყოფილია.

**უნივერსიტეტი სეულში.**

**ტოკიო.** (იაპონია) იაპონიის მთავრობა აპრილში კორიეს სატახტო ქალაქში, სეულში ჰხსნის უნივერსიტეტს.

**კომპარტია იაპონიაში.**

**ტოკიო.** გაზეთების ცნობით, იაპონიაში არსდება კომპარტია, კინიასა, მაკავასა, არახატასა და კიტატარას მეთაურობით.

# ახალი ამბები

— **სოც. დამზღვევის სამართველოში.** სოციალურ დამზღვევის მთავარ სამმართველოში პროფკავშირების საბჭოს წარმომადგენლათ დაინიშნა ამხ. ელბაქიანი.

— **კულტურული მუშების გასაძლიერებლად.** პროფკავშირების საბჭომ დაადგინა ნება მიეცეს ფ. ტ. კავშირის წევრათ გადასახადიდან თავის კულტურულ ფონდის გასაძლიერებლად—1923 წ. 1 იანვრამდე ხოლო 1 ნოემბრამდე გადარიცხოს 5 პროცენტი ხოლო 1—5 ნოემბრიდგან. 10 პროცენტი.

— **სოც. დამზღვევის საქმე პროვინციაში.** პროვინციებში სოც. დაზღვევის საქმეს გასარჩევად —ბათომისა, სოხუმსა, ქუთაისს, ტყიბულისა, ჭიათურისა, ოზურგეთის, ზუგდიდისა, და სენაკში მივლინებულნი იქნენ ამხ. ღოლობერიძე და ელბაქიანი.

— **კომუნალურ გადასახადიდან განთავისუფლება.** პროფკავშირების საბჭომ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ქალ. აღმასკომის წინაშე რათა ის პროფკავშირის წევრები რომელნიც ლაზღვეულნი არ არიან, მაარამ აქვთ უფლება დაზღვევისა—განთავისუფლებული იქნენ კომუნალურ გადასახადიდან 50 პროც.

— **ჩაი ამიერ კავკასიისათვის.** ა. კ. გარეშე კომისარიატის მიერ ინგლისში ამიერ კავკასიისთვის საჭიროებისათვის შეძენილია 600 ფუთი ჩაი. 200 ფუთი უკვე ჩამოტანილია.

— **უმუშევართა ახალგაზრდათა სექციაში.** შრომის ბირჟის კომიტეტის დადგენილებით; ახალგაზრდათა უმუშავრების სექციაში აღრიცხვა და გაწმენდა იწარმოვებს მხოლოდ 10 დეკემბრამდის.

— **უმუშევართა საერთო აღრიცხვა,** 27 ნოემბერს შრომის ბირჟაზე აღრიცხვაზე გამოცხადდა —321 უმუშევარი. ამათში შრომის აღრიცხვაზე დარჩენილია 313 კაცი გამორიცხულია—8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— **შრომის ბირჟა.** 29 ნოემბერს შრომის ბირჟაზე ახლად ჩაეწერა 15 უმუშ. გაიგზავნა სამუშაოზე—85 უმუშ. მოთხოვნილება იყო 48 უმუშ.

— **დახმარება პროფკავშირთა კულგანყოფილებას.** დამზღვევ კასამ გადასწყვიტა: სისტემატიურად დახმარება აღმოუჩინოს საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებას კულტურულ განმანათლებელ დარგის გასაფართოებლად.

— **არტელების დაზღვევა.** დამზღვევ კასის გემგეობამ დაადგინა: დააზღვიოს ის არტელები, რომელიც დაბრუნებული არის შრომის კომისარიარიატის მიერ მხოლოდ იმ შემთხვევებში თუ ეს არტელები შემოიტანენ პროცენტალურ ანარიცხებს 12 პროც. რაოდენობით.

1923—1924 **წლების ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.** ა. კ. ფინანსთა კომისარიატმა დაიწყო გამოუშავება ა. კ. რესპუბლიკის დაწესებულებათა 1923—24 წლების ხარჯთ-აღრიცხვისა.

**შემთხვევები.**

— **მგზავრის გაძარცვა.** 28 ნოემბერს საღამოს 8 საათზე ბზის მოედანზე გაძარცული იქნა აგზავრი მოქ. ეიდ ბახში-ალი-ოღლი, რომელსაც გამოსტაცეს ბოროტმოქმედებმა სხვა და სხვა ნივთები ღირებულება გამოურკვეველია. ეჭვით დაპატიმრებულია გიორგი სააკიანი.

— **გაძარცვა,** 24 ნოემბერს შუაღამისას, „თეთრ დუქნის" შუა გზაზე შეიარაღებულ ბოროტმოქმედების მიერ გაძარცული იქნენ სოფლიდგან მომავალი გლეხები რომელსაც წაართვეს სხვა ტანისამოსი ღირებული სამ მილიარდ მანეთისა, მიღებულ ზომებით ბოროტმოქმედნი აღმოჩენილი იქნენ ნაპარავი ნივთებით მოქ. ერვანდ ავაქოვი და არშაკ მიკირტუმიანცი.

— **გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგ:** დავკარგე ტფილისის მ. გ. მილიციის მიერ გაცემული სიღარიბის მოწმობა № 15192 ჩაითვალოს გაუქმებულად. ილია თუთბერიძე.

— **ქურდის შეპყრობა.** 27 ნოემბერს შეპყრობილი იქნა მოქ. გიორგი პესჩენკო, რომელსაც ბრალი ედებოდა ბინის გაქურდვაში. რაშიაც იგი გამოტყდა.

— **ბოროტმომქმედების შეპყრობა.** 28 ნოემბერს შეპყრობილ იქმნენ მოქ. აშო შავებოვი, ჯენო ალი-ოღლი, რომელთაც ბრალი ედებოდა სხვა და სხვა ქურდობაში.

— **ჯიბგირის შეპყრობა.** 27 ნოემბერს შეპყრობილი იქმნა მოქ. ალექსანდრე უშანოვი, რომელსაც ბრალი ედება ჯიბგირობაში.

— **განათლების მუშაკთა სახლში.** ორშაბათს 3 დეკემბერს საღ. 6 საათ. ქართული ენის მასწავლებელთა წრეში: ახალ პროგრამების გარჩევა. პარასკევს, 7 დეკემბერს საღ. 7 საათ. რუსული ენის მასწავლებელთა წრეში: 1. რუსული სინტაკსის მეცნიერული გაშუქება პეშკოვსკისა. 2. პეშკოვსკის მიხედვით სწავლა ზმნის შესახებ.

— **პროფ. კახიანის განმეორ. ლექციები ექიმთათვის.** კვირიდან (2 დეკემბ.) პროფ. ნ. კახიანი დაიწყებს განმეორებითი ლექციების კითხვას ექიმთათვის ტოპოგრაფიულ ანატომიასა და ოპერატიულ ქირურგიაში ზოგადი და კერძო ქირურგიის დამატებით. მიღებულ იქნება ზომები, თითოეულ ლექციას მოყვეს წაკითხულის პრაქტიკული დემონსტრაცია გვამზე. ლექციები წაიკითხება ყოველ კვირის 12—3 საათ. ტოპოგრ. ანატომიისა და ოპერატიული ქირურგიის ინსტიტუტში (ყოფ. საფერშლო სკოლა. დიდი მთავრის ქ. № 51. ეზოში) და მათი მოსმენა შეუძლია ყოველ ექიმს.

— **განათლების მუშაკთა სახლში.** შაბათს 1 დეკემბერს საღ. 6 საათ. გ. ნათაძის ლექცია საზოგადოებრივ მეტყველებაში ქართულ ენაზე. კვირას, 2 დეკემბერს საღ. 6 საათ. მუსულმან პედაგოგთა წრეში: შახტანტინსკის, გასან-ზადე და სუბხანკულოვის მოხსენებები მშობლიური ენის სწავლების მეთოდის შესახებ. ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა. ოთიშაბათს 5 დეკემბერს საღ. 8 საათ. საზოგადოებრივ მეტყველებაში წრის მეცადინეობა რუსულ ენაზე. ხუთშაბათს 6 დეკემბერს საღ. 5 საათ. საბუნებისმეტყველო წრის მეცადინეობა ქართულ ენაზე. 1. პროგრამების გამორკვევა. 2. ბუნებისმეტყველების და გეოგრაფიის მასწავლებელთა მუშაობა. ორშაბათს 3 დეკემბერს საღ. 7 საათ. ფიზიკო-მათემატიკური რუსული წრის სხდომა. 1. ს. პ. ჩერეპანოვი. შრომის სკოლის მათემატიკის პროგრამის ძირითადი მდგომარეობანი. 2. მათემატიკის პროგრამის პროექტი შვიდწლედისათვის. 3. საკითხი 2 წრედ გაყოფის შესახებ—მათემატიკურის და ფიზიკურის. 4. მათემატიკის ოთხწლედის სემინარში მომუშავე მსურველთა ჩაწერა.

— **მაზრებიდან საჭირო ცნობების მოთხოვნა.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა 29 ნოემბერს მიწერილობები გაუგზავნა მაზრებში თავის რწმუნებულებს და მოთხოვა მაზრებიდან სასწრაფოთ წარმოუდგინოს მას სრული ანგარიში რამდენი შრომის და ომის ინვალიდი და წითელ არმიელის ოჯახის წევრებია აყვანილი აღრიცხვაზე და რა დახმარება ეძლევათ იქ მათ ფულით და ნატურით.

— **რევოლიუციონერების ოჯახის წევრების დასაკმაყოფილებლათ.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის განცხადებაზე საქართველოს რესპუბლიკის კომისართა საბჭოს წინაშე დამსახურებული რევოლიუციონერების (რომლებიც კონტრ-რევოლიუციონერებთან ბრძოლაში დაიღუპენ) ოჯახის წევრებისათვის დახმარების აღმოსაჩენად ავანსათ მისცეს სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს ხუთი ათასი მან. (ჩერვონცებით).

— **ვალიუტის კურსი.**

| | | |
|---|---|---|
| ჩერვონეცი | 185.000 | მ. |
| სტერლინგი ეფექ. | 179,500 | „ |
| ჩეკი. | 179,500 | „ |
| დოლარი ეფექ. | 41,500 | „ |
| ჩეკი. | 39,000 | „ |
| ოსმალური ლირა | 23,000 | „ |
| საბჭოთა ფული | 13,000 | „ |

# მოწოდება

**სახალხო თეატრის 30 წლის იუბილე**

**[illegible]—1923**

9 დეკემბერი სახალხო თეატრის 30 წლის არსებობის საზეიმო დღეა.

ამ დღეს დაფნის გვირგვინს დაიდგამს სპეტაკ და პატიოსან მუშაკთა მრავალ-წლოვანი თავგანწირული მუშაობა.

9 დეკემბერი არ არის ჩვეულებრივი საზეიმო დღე-რომელიმე კერძო პიროვნებისა.

ამ დღეს ზეიმია საერთო საქმის, მთლიანი იდეის.

და მით უფრო მნიშვნელოვანია ეს ზეიმი, რამდენადაც იგი ისტორიულ სახეს ატარებს სახალხო თეატრის ჩასახვისას ჩვენში, მის განვითარებას და წინ სვლას გიგანტის ნაბიჯებით კლასიურ კულტურის აღზნების სფეროში.

სახალხო სახლის ქართულ დრამას ამ დღეს უსრულდება 30 წელი და მის მოელვარე სახეს აჩნევია მრავალი სევდა, გაჭირვება, სითამამე, და მასთან ერთად კმაყოფილება, რომ მისმა ცდამ ნაყოფი გამოიღო არა ჯგუფური და ვიწრო ხასიათის, არამედ მას სდევს კვალი საკაცობრიო ხასიათის, მას უძევს წილი ქართული მელპომენის და კულტურის განმტკიცება—განდიდებაში. სახალხო თეატრალობის ჩასახვა და მისი პირველი ნაბიჯები და შემდგომ თითქმის მთელი მისი არსებობა და მსახურება მშრომელ ხალხისადმი აღირიცხება იმ ხანით, როდესაც ყოველი მართალი. პატიოსანი სიტყვა და საქმე ხალხის საკეთილდღეოთ თქმული ითელებოდა ფეხ ქვეშ, უმართებულოთ გამოყენებული იდევნებოდა და ყოველ-გვარ ნათელ-სხივთა ამოწევას, წინ ეგებებოდა შავი ბურუსი, სამარისებულ ზოლად შემოვლებული.

შავი ჯანღი ლამობდა ამ კოცონის ჩახშობას, მაგრამ ვერა დააკლო რა, რადგან სახალხო თეატრალობის კერას თავსევლებოდნენ ბრძოლაში გაკაჟებული მუშები და მოწინავე ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო შვილები.

სახალხო თეატრი, ეს ბაზა იყო, სადაც იშლებოდნენ საუკეთესო მერმის ბრწყინვალე სახეები. სახალხო თეატრი, ეს ის ასპარეზი იყო, საიდანაც მგზნებარე ნაპერწკლებად სცვიოდნენ ფართე მასებში, მის აუდიტორიაში, მხატვრულ სახეებში ამეტყველებული საკაცობრიო იდეალები და მით გადამწყვეტ ბრძოლისათვის ამზადებდა, აკაჟებდა მშრომელ ხალხისათვის თავ-დადებულ ვაჟკაცთ, ზრდიდა და უფართოებდა სურვილს და ვნებიან ლტოლვას საუკეთესო მერმისის ხილვისას.

სახალხო თეატრის საშო და მისისი აღმზრდელი აკვანი—„ავჭალის აუდიტორია" ა. მისი დამაარსებელნი და მთავარი მოღვაწენი ქართველი მუშები იყვნენ.

ქართულ თეატრისადმი სიყვარულმა და სურვილმა თეატრ-ლობის თესლის დედა-ქალაქის განაპირა უბნებში მცხოვრებთა შორის დანერგვისამ, აქ ჰპოვა ჯგუფური ახმაურება. მძიმე და ყოველ მხრივად აუტანელი იყო ეს პირველი ნაბიჯები, მაგრამ საქმისადმი სიყვარულმა, მშრომელი ხალხის გათვითცნობიერების მგზნებარე სურვილმა, გმირულათ დააძლევინა ყოველგვარი დაბრკოლება დიად საქმის ინიციატორთ და აი, 9 დეკემბერს, მადლიერი, გამარჯვებული მშრომელი ხალხი იხდის ზეიმით ამ უჩვეულო საქმიანობის დღესასწაულს.

სახალხო თეატრმა აღზარდა ბევრი ნიჭიერი დრამატურგი და მსახიობი, მან მისცა ხალხს მრავალი თავდადებული საზოგადო მოღვაწე, ბევრს დაუწმინდა ზრახვანი და ბოროტი სახე ბრწყინვალებად გადააქცია.

პირველ პერიოდის მუშაობის სიმტკიცემ, დაწყებული საქმე მიიყვანა „სახალხო სახლში" და აქ სამუდამო ქართულ დრამატიულ დასის სახე მისცა. დიწყო მხატრულ განსახიერების ხანა.

ტრიბუნის სახე შეიცვალა განსაზღვრული ხელოვნების სახით, განზომილი რეპერტუარით და გარკვეული მიმართულებით.

სახალხო თეატრი 30 წლოვანია დღეს.

ის კვლავ მედგარი, ამაყი გამარჯვებული და გაბრწყინებულია. ამ ხან-გრძლივობის განმავლობაში მას ერთხელაც არ ახასიათებს დრო, როდესაც თვისი დროშა მშრომელთა სამსახურის ძირს დაეშვას, ან და ვისმეს მოეხერხებინა ამ დროშის მის ხელიდან გამოგლეჯა.

ის აღმზრდელი დედა იყო ქართველი მშრომელის, მანათობელი ჩირაღდანი ქართული კულტუროსნობისა.

და აი მიტომაც არის რომ 9 დეკემბერს ყველა დიდის მოწიწებით შევა ამ დიდებულ ტაძარში სულით გაწმენდილი, დიად იდეიისადმი მადლობის სურვილით აღზნებული და გამთბარ სალამს უძღვნის მას 30 წლოვან უანგარო, თავგანწირულ და სპეტაკ მუშაობისათვის, რწმენით, რომ სახალხო თეატრი სამ ათეულ წლების შემდეგ კვლავ მედგრად და მტკიცე ნაბიჯებით გასწევ წინ ახალი სულით ზიარებული, მშრომელთა მელპომენის და ერის საკეთილდღეოდ!!!...

სალამი მის 30 წლის მოღვაწეობას!

გამარჯვება მის ახალ გზას!!!

**საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატი.**

**საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭო.**

**სახალხო სახლის ქართული დრამის გამგეობა.**

# სრ. საქართველოს ინვალიდთა არტელების წარმომადგენლების კონფერენცია

**მეორე სხდომა.**

მეორე სხდომაზე კომისიამ კონფერენციას წამოუყენა ახლად შემუშავებული წესდების პროექტი.

არტელის ახალმა წესდებამ გამოიწვია დიდი კამათი.

კონფერენციას ეტყობოდა ორ ბანაკად დარაზმა, რომელთაც ერთმანეთის საწინაღმდეგო აზრები ნათლად გამოთქვეს.

წესდებაში პირველი საკამათო საკითხი იყო არა ინვალიდების არტელში შესვლა. ახალ წესდებაში გათვალისწინებული იყო ეს საკითხი და აძლევს არტელის წევრებს უფლებას არა ინვალიდები დროებით სამუშაოსათვის მოიწვიოს თუ საჭირო იქნება საქმის მსვლელობისათვის.

დიდი კამათის შემდეგ კონფერენციამ მიიღო ახალი წესდების მუხლი.

მეორე სადაო საკითხი იყო არტელის საპაიო საფუძველზე აშენება. ახალი წესდება ითვალისწინებდა დღევანდელ მდგომარეობას, რომ მთავრობას ფართო კრედიტების გახსნა არტელებისათვის არ ძალუძს, ამიტომ არტელების საპაიო საფუძველი წამოაყენა, თუმცა კერძო კაპიტალს არავითარ გასაქანს არ აძლევდა.

მესამე სადაო საკითხი, რომელმაც კამათი გამოიწვია დელეგატებს შორის ეს იყო არტელის ლიკვიდაცია რუსულ წესდების ზეგავლენით ამხ. ათაბეგოვ-ტუმასმა მოითხოვა ლიკვიდაციის შემდეგ მთელი ქონება არტელისა გადაეცეს სოც. უზრუნველყოფის კომისარიატსო. ახალ წესდების პროექტი ითვალისწინებდა არტელების წარმოშობას და კერძო თანხების მონაწილეობას არტელებში ეს მუხლი სრულებით შესცვალა და არტელის ლიკვიდაციის შემდეგ მოითხოვა ქონების განაწილება არტელის წევრებს შორის.

ამ საკითხზე კამათში მიიღეს მონაწილეობა კანდელაკმა, ლეჟავამ, როსტომაშვილმა, ჭუმბურიძემ და სხვებმა.

ორატორებმა ნათლად დიამტკიცეს, რომ თუ წესდებაში არ იქნება ის მუხლი, რომ არტელის წევრებს არ ერგება არაფერი ლიკვიდაციის შემდეგ, ისინი არავითარ მომჭირნეობას არ გაწევენ.

მოწინააღმდეგე მხარე დაეთანხმა ამ მუხლს და განაცხადეს, არტელების შენაერთის წესდებ. მიღებულ იქნა ერთხმათ ზოგიერთ შესწორებით.

სრ. რუსეთის ინვალიდთა კოოპერატიულ გაერთიანებასთან კავშირის დამყარების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ათაბეგოვ-ტუმასმა. ერთმა დელეგატმა წამოაყენა პროექტი მოხდეს ამიერ-კავკასიის ინვალიდთა არტელების გაერთიანება და შემდეგ რუსეთის ინვალიდებთან შეერთება.

კონფერენციამ მიიღო შეუკავშირდეს პირდაპირ საქართველოს ინვალიდთა არტელების შენაერთი რუსეთის არტელების შენაერთს.

სხდომა შეწყდა რამდენიმე წუთით.

დასვენების შემდეგ კონფერენციის პრეზიდიუმმა წამოაყენა არტელთა შენაერთის გამგეობისათვის კანდიდატები მცირეოდენ ცვლილების შემდეგ არტელთა შენაერთის გამგეობაში არჩეულ იყვნენ ინვალიდებიდან გ. ახალაძე, ვას. როსტომაშვილი, ს. გარუჩავა და არ. ვაჩნაძე. სარევიზიო კომისიაში: ქლენტი, ცქიტინიძე და ანჯაფარიძე.

**დამსწრე.**

# მემარჯვენეების საყვედური

დღეს, ჩვენ მიერ გადადგმულ ნაბიჯის გამო მრავალი, ჩუმი და ფარული მითქმა-მოთქმა არსებობს, განსაკუთრებით მემარჯვენეთა წრეებში. დიდ განცვიფრებას იწვევს მათში ეს მოვლენა, რადგანაც ფიქრობენ, რომ ჩვენ დიდი დანაშაული ჩავიდინეთ ამით.

ჩემის აზრით ეს ფიქრები და ჩუმი თქმანი მათ მიერ უადგილო არ არის, რადგანაც ჩვენ მართლა დანაშაული ჩავიდინეთ, მაგრამ ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც რევოლიუციონერები და კერძოდ რევოლიუციონერი, თუ თავის სახელწოდებას ემსახურება, უნდა მიიღოს და გაამართლოს პრაქტიკულ საქმიანობაში ის დებულება, რომ **რევოლიუციონერები ყოველთვის დანაშაულს სჩადიან კონტრ-რევოლიუციონერების წინაშე.** ეს არის უდიდესი დამახასიათებელი თვისება რევოლიუციონერების, ჩვენ ასეთი დანაშაული მართლაც ჩავიდინეთ.

ამასთან ერთად ბრალდებას გვიყენებენ გაჯავრებული ხალხი, რომ ჩვენ ღალატი ჩავიდინეთ ტრადიციის წინაშე. ეს ბრალდებაც მისაღებია, რადგანაც სინამდვილეს შეეფერება. მაგრამ ეს მოვლენები ყოველ შემთხვევაში განცვიფრებას არ უნდა იწვევდეს მათში, რადგანაც ასეთი ნაბიჯები ჩვენ წინეთაც გვახასიათებდა.

ტრადიციის უარყოფა რომ არ ყოფილიყო ჩვენ მიერ დაშვებული, ჩვენი პარტიაც ისე ჩაიხრჩობოდა ტრადიციულ გრძნობებში, როგორც ეს მოსდით დღეს მემარჯვენე პარტიებს. არ შეიძლება დღეს სოციალისტური პარტია არსებობდეს და არ ამოუდგეს გვერდში, იმ თავწამოყოფილ პროლეტარიატს, რომელიც დღემდის განიცდიდა ბურჟუაზიის სიმძიმის მთლიან დაწოლას.

დიახ, ვინც დღეს პროლეტარიატს გვერდში არ ამოუდგება, ვინც დღეს მონაწილეობას არ მიიღებს პროლეტარიატის სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში პროლეტარიატის საკეთილდღეოდ ის აუცილებლად მტერია პროლეტარიატის ან ცოცხალ მკვდარია ამავე პროლეტარიატისათვის.

რასაკვირველია ჩვენი დღევანდელი ნაბიჯი თავის საკეთილდღეო მნიშვნელობით შეიძლება კონტრ-რევოლიუციონერებისათვის გაუგებარი და განსაცვიფრებელი მოვლენა იყოს, მაგრამ ეს ჩვენთვის არაფერს არ ნიშნავს, რადგანაც ამას გაიგებს ის, ვისთვისაც სასარგებლოა და ვინც თავის არსებით რევოლიუციონერია.

თურმე არც ისე ადვილი ყოფილა რევოლიუციონერობა და გულწრფელი სოციალისტობა, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. ეს რომ ადვილი ყოფილიყო დღეს ევროპის იმ სახელმწიფოებში, სადაც ობიექტიური პირობები უკვე დიდი ხანია მზად არის იქ დღეს საბჭოთა ხელისუფლება უნდა იყოს, მაგრამ ეს ასე არ არის და ამის უმთავრესი მიზეზი იმ სუბიექტიურ პირობაშია, რომელსაც ეწოდება რევოლიუციონერობის და გულწრფელ სოციალისტობის სიძნელე.

რევოლიუციონერმა და სოციალისტმა, თავის მიზანს რომ მიაღწიოს, ამისათვის მას უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული ფსიქიური თვისება, რევოლიუციონერობა.

გარდა ამისა რევოლიუციონერს უნდა ჰქონდეს რკინის ნების ყოფა. ასეთი უნდა იყოს ფსიქიური ძალა რევოლიუციონერის, როდესაც ის საქმიანობას უდგება.

ჩვენ საქართველოს მემარც. სოც.-ფედერალისტთა პარტიას ახასიათებს ის თვისება და ამის შედეგია ის ნაბიჯები, რომლებიც აკვირვებს დღეს არა რევოლიუციონურად განწყობილ მასებს და რომლებიდანაც მრავალი ჩემი საყვედურები ისმის. ამ საყვედურების ატანას ამართლებს თვით ეს ნაბიჯიც, რადგანაც ასეთ მოსალოდნელ საყვედურებს ჩვენ ამ ნაბიჯის გადადგმამდის ვგრძნობდით, მაგრამ მას ზურგი ვაქციეთ.

დღეს ასეთი ნაბიჯები აუცილებლად მსოფლიოს რევოლიუციონურ კათედრის წინაშე გამოცდის დაჭერაა.

დღევანდელ მომენტში რევოლიუციონერი რევოლიუციონერს დასახმარებლად ინსტიქტიურადაც კი მიაგნებს და მასთან ერთად ააფრიალებს გასაშრობად იმ დროშას, რომელიც დაასველა პროლეტარიატმა თავის სისხლით რევოლიუციონურ ბრძოლაში.

**გ. ნიკოლაიშვილი.**

# ჩვენი სკოლა

## რუსული ენის სწავლება

უაღრეს აღშფოთებით და თან განცვიფრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ბევრს ჩვენს სკოლაში რუსული ენის სწავლება დღესაც სწარმოებს ძველი დახავსებული მეთოდით და რუტინის სისტემით.

როგორც ახლო წარსულში ისე ამ ჟამად ჩვენს სკოლებში მოსწავლეთ აზეპირებინებენ პეტრე დიდის ქებას, ა. პუშკინის იმპერიალისტურ ლექსს „პოლტავას".

ძველებურადვე ჯვარს აცვამენ „მაზეპას" იმიტომ რომ ღვთის იმპერატორს პეტრე დიდს უღალატა—უკრაინის თვით რაობის ინტერესი წამოაყენა:

თანდროულ რუსეთის ლიტერატურულ ისტორიულმა კვლევამ და შემოქმედებამ უკვე წესი აუგო „პეტრე დიდს". გამოაჩინა ნამდვილი მისი სახე.

მხოლოდ ჩვენ ზოგიერთ მასწავლებლებს მარადიულ და პლატონიურ სიყვარულით შეუყვარებიათ „პეტრე დიდი“.

მაგრამ ჩვენ გვგონია ამ ახირებულ მასწავლებელთ პეტრე დიდი უფრო მიტომ უყვართ, რომ სიახლე ვერ განუცდიათ.

გაქანება არა აქვთ, დიდი რევოლიუცია და მისი მნიშვნელობა ვერ შეუგნიათ და ვერ უგრძვნიათ, ლიტერატურულ თუ ისტორიულ შემოქმედებისადმი კრიტიკული მოპყრობა ვერ მოუხერხებიათ.

რაც ჟანდარმერიის და თვითმპყრობელ დესპოტიის პარპაშის დროს დაწერილა ზოგ „გამოხელებულ“ მასწავლებელს აბსოლიუტური ჭეშმარიტება ჰგონია.

რუსული ენის სწავლებას კიდევ აქვს ერთი უცნაური და მახინჯი მხარე:

მოწაფეებს აზეპირებენ: თუ რა არის სანტიმენტალიზმი.

პსევდო კლასიციზმი.

სიმბოლიზმი.

და რომანტიზმი.

მოწაფე ლექავს ამ სათაურებს მუნჯურად, ბერულად და ხუცურად:

რა სარგებლობაა მისგან.

იოტის ოდნად არაფერი.

მხოლოდ ენის იშვიათი დაბმა და გონების არევა.

მსოფლიო სალიტერატურო მიმართულებით მოწაფენი უნდა ეცნობოდენ სამშობლო ენაზე.

იქნებ ჰფიქრობენ, რომ ასეთ წესით მოწაფეს რუსულ ენას ასწავლიან...

არასოდეს.

ასეთ სწავლებით, მოწაფენი მთლად ჰკარგავენ ენის შეთვისების უნარს და თვით იმედსაც კი.

რა საცოდავი და შესაბრალია მოწაფე როცა ნიკოლოზის სკოლის პრინციპებით ტვინ გალლობილი მასწავლებელი მას რუსულად ასაუბრებს რომანტიზმზე ან სიმბოლიზმზე.

მოწაფეს ხმის ამოღება ვერ გაუბედნია.

მას ენა არა აქვს.

იგი მუნჯია.

რატომ?

იმიტომ რომ მას არ ასწავლეს „ცოცხალი ენით“.

ენით ცეცხლის დამნებთ, სიახლის მგრძნობით და გულზე მომხვედრით.

სკოლის მეგობრებმა მახვილი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხს.

რუსული ენის სწავლების მეთოდი ძირიანფესვიანად უნდა გამოიცვალოს.

გადატრიალება უნდა მოხდეს!..

ჩვენ ვასწავლოთ ცოცხალი საგნები და არა „პეტრე დიდის“ საქებარი ლექსები!..

**ჩვენ უნდა გავაცნოთ მოზარდ თაობას მშრომელი ხალხის წარსული, მისი ტანჯვა, აწმყო და მომავალი; რევოლიუციონურ მოძრაობისა და მშრომელთა იდეალებისადმი სიყვარული** და არა მარტოოდენ მეფეთა და იმპერატორთა „სახაზინო ამბავი“, სახაზინო შეკვეთით დაწერილი.

**ირ—დი.**

## პროლეტარულ სტუდენტობის კვირეულისათვის.

### დავეხმაროთ პროლეტარულ სტუდენტობას.

ყველა გაზეთების რედაქციები უშვებენ სპეციალურ ნომერს შემოსავლის გადარიცხვით პროლეტარულ სტუდენტობის სასარგებლოთ.

ორშაბათს, 3 დეკემბერს „ზარია ვოსტოკა“ ოთხშაბათს, 5 დეკემბერს „რაბოჩაია პრავდა“, ხუთშაბათს, 6 დეკემბერს „მარტაკოჩი“.

პროლეტარულ სტუდენტობის დამხმარე ცენტრალური კომისია სთხოვს ყველა სამეურნეო ორგანოებს, ტრესტებს, სინდიკატებს, ბანკებს, სახელმწიფოებრივ და კერძო სავაჭრო-სამრეწველო ფირმებს მიაწოდონ რედაქციებს განცხადებები გაზეთების სპეციალურ ნომრებისათვის პროლეტარულ სტუდენტობის სასარგებლოდ.

„ზარია ვოსტოკას“—3 დეკემბრიდან, „კომუნისტს“—4 დეკემბრიდან, „რაბოჩაია პრავდას“—5 დეკემბრიდან, „მარტკოჩს“—6 დეკემბრიდან.

პროლეტარულ სტუდენტობის სასარგებლოდ განზრახულ სანახაობათა პროგრამა:

ორშაბათს, 3 დეკემბერს—კინო „არფასტო“ და „აპოლო“.

სამშაბათს, 4 დეკემბერს—რუსთაველის თეატრი—„ადამიანი მასსა“—ტოლერისა, პრემიერა.

პარასკევს, 7 დეკემბერს—სახელმწიფო ოპერა—„თავადი იგორი“— პრემიერა.

7 დეკემბერს, რუსთაველის თეატრი—თათრული დრამა.

**რა გაკეთდა.**

პროლეტარულ სტუდენტობის დახმარების კვირეულში დასმულ ამოცანების განხორციელებისათვის მიღწეულია შემდეგი.

**სტიპენდიები.**

გაცემულია სტიპენდიები შემდეგ დაწესებულებების და სამეურნეო ორგანოების მიერ.

ტფილისის აღმასკომის—5 სტიპენდია, საქართველოს წითელ ჯვრის—5, სასურსათო სინდიკატის—3, საფეიქრო სინდიკატის—20, სახელმწიფო სპირტის სამართ—5, ტრანსპორტის—5, მარილის სინდიკატის—5, ელექტრონის ტრესტის—3, რეზინის ტრესტის—10, ბამბის მთავარ სამმართვ.—10, მატყლის—5, „მოსელპრომის“—2, „მოსტკიკომისა“—2, „ქაღალდის ტრესტის“—5, „მოხალისე ფლოტის“—5, „ტყავეულობის სინდიკატის“—2, „შაქრის ტრესტის“ 5, „სახელმწიფო გამომცემლობის“—3, „კრაიტორგს და ნოვოროსცენტორგის—3, „სახელმწიფო დაზღვევის“—10, „ქიმიურ ნახშირის“—2, საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—15, საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის—10.

**სამკურნალო დახმარება.**

უზრუნველყოფილია სამკურნალო დახმარება ტფილისის მთელი სტუდენტობისათვის წითელი ჯვრის, არმიის და ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების მიერ.

წითელი ჯვარი ხსნის აფთიაქს უმაღლეს სასწავლებლებში. უზრუნველყოფილია მუშათა ფაკულტეტების მსმენელთა და სტიპენდიანტების დაზღვევა.

სტაციონალური მკურნალობა უზრუნველყოფილი იქნება ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის და არმიის მიერ.

**კომუნალური სამსახური**

დათმობილი იქნება ორი სახლი სტუდენტთა საერთო საცხოვრებელის მოსაწყობად.

ტფილისის აღმასკომი უთმობს ბინას სასადილოს და კოოპერატივისათვის განათებით და წყალით.

წითელარმიელების აბანოები ყოველდღიურად დაეთმობა 150 სტუდენტს.

**პროლეტარული სტუდენტობის კვირეულის ჩამტარებელი ცენტრალური კომისია.**

## საბჭოთა კავშირი და ინგლისი

### ამხ. ჩიჩერინის განცხადება.

**მოსკოვი. 28 ნოემბერი.** ამხ. ჩიჩერინმა გაზეთ „დეილი ნიუს“-ის კორესპონდენტთან საუბრის დროს, მაკნეილის უკანასკნელ გამოსვლის შესახებ, განაცხადა, რომ **მაკ-ნეილის განცხადება იმის შესახებ, რომ ჩვენ, თითქოს, არ ვასრულებდეთ ჩვენს ვალდებულებებს ტრალერების დაკავების საკითხში, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. დაკმაყოფილების თანხა, რომელსაც მოითხოვს ინგლისი, აშკარათ გაზვიადებულია.** ჩვენ ამჟამად ვაწარმოებთ საქმის გამოკვლევა და ამით არის გამოწვეული ტრალერების შეჩერება მაკ-ნეილის შენიშვნა, რომ ბრიტანეთის მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს იმისათვის, რომ მიიღოს დაკმაყოფილება, არაფრით არ არის გამოწვეული. სიმართლეს მოკლებულია აგრეთვე მაკ-ნეილის მეორე განცხადება, თითქოს ჩვენ ვიცოდით იმ პირობების შესახებ, რომელთა შესრულებაც აუცილებელი იყო იმისათვის, რომ ბრიტანეთის მთავრობა დათანხმებულიყო ჩვენს ცნობაზე, და, მიუხედავათ ამისა, ჩვენ არასოდეს არ ვცდილობდით შეგვესრულებია ეს პირობები. მთელმა ქვეყანამ იცის ჩვენს მიერ გენუაში და ჰააგაში წარდგენილ წინადადებების შესახებ, რომლებშიაც ჩვენ თანახმა ვიყავით ინგლისის პირობების შესრულებაზე მაგრამ ამ წინადადებებზე არც ბრიტანეთის და არც სხვა რომელიმე სახელმწიფო მთავრობას პასუხი არ მოუციათ ჩვენთვის.

სიმართლეს მოკლებულია აგრეთვე მაკ-ნეილის მესამე განცხადებაც იმის შესახებ, თითქოს ამხ. რაკოვსკი იყოს მხოლოდ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ამხ. რაკოვსკის აქვს „ოფიციალური აგენტის“ სახელწოდება მისი პოლიტიკური ფუნქციები გათვალისწინებულია სავაჭრო ხელშეკრულებაში. თუ ამხ. რაკოვსკი დღევანდლამდის არ იყო მიღებული კერზონის მიერ და ის იძულებული იყო საქმე დაეჭირა კერზონის ხელქვეით მყოფ პირებთან,—ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა მისი იურიდიული მდგომარეობის შეკვეცაში, არამედ **ამაში დამნაშავეა ბრიტანეთის მთავრობა, რომელსაც არ სურს ჩვენთან მოლაპარაკების დაწყება ნორმალურ და პოლიტიკურ ურთიერთობის აღდგენისათვის ორივე ქვეყნებს შორის.**

## საბჭოთა კავშირში

### საბერძნეთის ადმირალის ჩამოსვლა.

მოსკოვში ჩამოვიდა საბერძნეთის ადმირალი კუკულიდისი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარის დროს განაცხადა, რომ მისი ჩამოსვლის მიზანია იშუამდგომლოს საბ. სოც. რეს. კავშირის და საბერძნეთის შორის კომერციულ და დიპლომატიურ კავშირის განახლების შესახებ. დასავლეთის ზოგიერ სახელმწიფოებს რუსეთთან ანგარიშები აქვთ გასასწორებელი. ეს მეტად აფერხებს საქმეს—საბერძნეთს ასეთი ანგარიშები არა აქვს, ამიტომ მის მხრივ დამაბრკოლებელი მიზეზები ურთიერთობის განახლებისთვის არ არსებობს. საბერძნეთს არა აქვს უფლება ჩაერიოს რუსეთის შინაგან საქმეებში. მან უნდა უყუროს რუსეთს, როგორც თავის გუშინდელ მფარველს ეს კარგათ ესმის საბერძნეთის ხალხს, რომელიც მზათ არის იცნოს რუსეთი იურიდიულათ. საბერძნეთი წარმოადგენს რუსეთისათვის მცირე, მაგრამ ხელსაყრელ, საჭირო ბაზარს. საბერძნეთს შემოაქვს უცხოეთიდან პური, ნედლი მასალა, თევზეული და ხორცეულის ქონის პროდუქტები და სხ. ყოველივე ამის მიცემას რუსეთი შესძლებს.

## პროვინციაში

**ხ. ლალისყური** (თელავის მაზრა). 7-ს გიორგობისთვეს ფშაველის აღმასკომმა სოფლის შესაფერისად ბრწყინვალეთ იდღესასწაულა რევოლიუციის ექვსი წლის თავი. აღმასკომის შენობა და ეზოში შესასვლელი კარები მწვანით იყო მოკაზმული. ადგილობრივ ჯარის კაცთა რაზმმა ჯერ თავის სამხედრო ვარჯიშობა გვაჩვენა და ბოლოს, მწყობრად გაიარა აღმასკომის წევრთა წინ და გამწკრივდა აღმასკომის შენობასთან. აქვე თავს მოიყარა ადგილობრივი სკოლების მოსწავლეობამ და მათმა მასწავლებლებმა. მოგროვდა ხალხიც. ვ. ესიტაშვილმა და თელავიდან ჩამოსულმა რწმუნებულმა კოზიევმა მიმართეს ხალხს დღის შესაფერი სიტყვებით.

ორივემ დალაგებით განუმარტეს ხალხს საბჭოთა რესპუბლიკებისა და უცხო სახელმწიფოთა დღევანდელი მდგომარეობა. სანდრო რამაზაშვილმა სთქვა სიტყვა სახალხო განათლების შესახებ და მის მნიშვნელობაზე, ხოლო, აღმასკომის თავმჯდომარემ, ნიკო ბიძინაშვილმა, სხვა და სხვა სასწავლო ნივთები დაურიგა მოსწავლეებს. სთქვა სიტყვა ი. როსტომაშვილმაც. თავის სიტყვაში იგი შეეხო გლეხის დღევანდელ ტკივილს—სამეურნეო კრიზისს, ე. ი. ფასების დაცემას სამეურნეო ნაწარმოებებზე და განუმარტა, რომ აქ ჩვენ მხოლოდ მეურნეობის გაუკეთესება გვიშველის და ამიტომ არაფერი არ უნდა დავზოგოთ და ზედმიწევნით უნდა შევისწავლოთ ახალი მეურნეობაო. ახალი მეურნეობა კი პირველ ყოვლისა იმას გვასწავლის, რომ ჩვენ ერთი ათად უკეთ უნდა დავამუშაოთ ჩვენი მამულები, ვიდრე აქამდის ვამუშავებდით, ერთი და ... უნდა ვკმაყოფილდებოდეთ წელიწადში ერთის მოსავლით, არამედ სამი და ოთხი მოსავალი უნდა ... ბინოთ ჩვენს მიწა-წყალსაო.

ამაშია ჩვენი ხსნა და ჩვენც უთუოდ ახალი მეურნეობის მიმდევრები უნდა გავხდეთო,—პურს რომ მოჰკით, ფეტვი დათესეთ, ფეტვს რომ მოსცელავთ, კვლავ ფეტვი დათესეთ სათივოდ; სიმინდს რომ სთესავთ, თითო არშინზე დათესეთ, ხოლო სიმინდებს შუა ლობიო დათესეთ და ბეჯითად თოხნეთ, მიიღებთ ერთ და იმავე მიწიდამ ორს მთლიანს მოსავალსო..

მეზობლებო! დღეიდან ეს მდიდარი მიწა-წყალი მხოლოდ და მხოლოდ თქვენია, თქვენა ხართ მისი ერთად-ერთი ბატონ-პატრონი, გამოიჩინეთ უნარს—გამდიდრდებით-გაკეთდებით, არა და კვლავაც ისეთი საწყლები და ბეჩავნი დარჩებით, როგორც აქამდე იყავით..

—

13-ს გიორგობისთვეს ფშაველსა და ლალისყურს ეწვია ცნობილი მეფუტკრე აპოლონ წულაძე აგრონომ მირიანაშვილთან ერთად. მან ინახულა ყველა, ვისაც კი ჰყავს ფუტკარი, გასინჯა თვითეულად მათი სკები თუ გეჯები და ბევრი კარგი თვალსაჩინო დარიგება მისცა პატრონებს ფუტკრის უკეთ მოვლაზე. სამწუხაროდ მოქალაქე წულაძე მარტო მეფუტკრეთა დარიგებით დაკმაყოფილდა. მაგრამ ათასწილად მეტი სარგებლობა ექნება მის სამეურნეო მოგზაურობას, რომ თან მთელს სოფელსაც მოუყრიდეს თავს და დალაგებულს ლექციას წაუკითხავდეს სხვა და სხვა დემონსტრაციებით ფუტკრების ცხოვრებიდამ, თუნდა ვისმე სკების წინ. ეჭვი არ არის, რომ ისეთი ლექცია ბევრს, ძლიერ ბევრს გააბედინებს ხელი მოჰკიდონ მეურნეობის ამ ფრიად ხელის-მომცემ დარგს..

**ივ. როსტომაშვილი.**

## ხელოვნება

**მეოცნებე ნიამორები.** კვირას, 2 დეკემბერს, გამოვა ლიტერატურული ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები“ ვალერიან გაფრინდაშვილის რედაქტორობით. ჟურნალში მონაწილეობენ ყველა „ცისფერი ყანწელები“.

—

**ლექცია ენშტეინზე.** ახლო ხანში ხელოვანთა სასახლეში პროფ. რაზმაძე წაიკითხავს ლექციას ენშტეინზე.

—

**შალვა კარმელის ძეგლი.** ახალი მწერლობის კორპორაციამ ამავე კორპორაციის პრეზიდიუმის წევრს ვ. კოტეტიშვილს დაავალა გააკეთოს უდროვოდ გარდაცვალებულ პოეტის შალვა კარმელის ძეგლი. ძეგლი დაიდგმება ქუთაისში პოეტის საფლავზე.

—

**სომხური დრამა.**

**„ურიელ აკოსტა“.**

ოთხშაბათს, 28 ნოემბერს, რუსთაველის თეატრში სომხური დრამის მსახიობთა მიერ წარმოადგინეს გუცკოვის ცნობილი ტრაგედია „ურიელ აკოსტა“. ურიელს ასრულებდა სომხური დრამის ნიჭიერი მსახიობი ალიხანიანი, მისი თამაში წრფელის ნაზის გრძნობით იყო გამთბარი. ტემპერამენტით იყო წარმოთქმული მეორე მოქმედების შესანიშნავი მონოლოგი: „მე ქრისტიანი ვარ?!“ კარგი იყო სცენა მესამე მოქმედებაში სილვასთან, რადგანაც აქ მსახიობს გვერდით უდგა კარგი პარტნიორი. ლამაზი სცენა ჰქონდა მსახიობს აგრედვე დედასთან. მხოლოდ იგი მოისუსტებდა უმთავრესს ალაგას. სცენა სინაღოღაში უარყოფის დროს, სადაც აკლდა მას თავგანწირულებრივი სულისკვეთება და სიძლიერე.

საერთოდ მისი ასრულება კარგი იყო. შესაფერისი და კარგი ჰქონდა გრიმი. ივდითს ასრულებდა მსახიობი ქალი ლუქასიანი, მან ოდნავათაც ვერ მოგვცა ივდითის სახე. იგი ერთობ მოისუსტებდა. კარგი იყო გალსტიანი ბენ-იოხაის როლში. არა უშავდა რა დედის როლში მარის. აღსანიშნავია პატარა როლის ამსრულებელი რუშტუნი, რომელმაც შესაფერისი განცდით შეასრულა აკოსტას ძმის რუბენის როლი, კარგი იყო ბენ-აკიბას როლში მსახიობი აველიანი.

მოხდენილად შეასრულა მსახიობ გავროშმა ექიმი დე-სილვას როლი, მას მშვენიერი ხმა აქვს კარგი დიქცია, როლი სრულიად შეგნებული ჰქონდა, კარგი ჰქონდა გრიმი, მანასეს როლის ამსრულებელი ფალარიანი მოისუსტებდა თუმცა მას როლი არ გაუფუჭებია. სუსტი იყო აგრედვე მსახიობი მარუთიანი რაბინი დოსანტოს როლში, მან ვერ შესძლო მოეცა სახე სარწმუნოებრივ ფანატიზმით გამსჭვალული რაბინის ტიპისა, მეტი ტემპერამენტი იყო საჭირო მეორე მოქმედების დროს. საერთოდ პიესამ მწყობრად ჩაიარა.

არ შეიძლება არ შევეხოთ თვით დადგმას. დადგმული იყო რეჟისორი ბურჯალოვის მიერ, პიესა დაიდგა შირმებში კარგის გემოვნებით, რომელიც სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა.

კარგი იყო მასიური სცენები. თეატრი სავსე იყო საზოგადოებით.

**ვ. ბ.**

—

**სახალხო სახლი.** კვირას, 2 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება მეორედ ამ სეზონში ტ. რამიშვილის მხიარული კომედია 3 მოქმ. „სტუმარ მასპინძლობა“ დადგმა რეჟისორის ი. ბარველისა. მონაწილეობას იღებენ წრის საუკეთესო ძალები.

—

**რუსული დრამა.** დღეს, 1 დეკემბერს, სახალხო სახლში რუსული აკადემიური დასის მსახიობთაგან წარმოდგენილი იქნება შექსპირის კლასიკური კომედია „ჭირვეული ცოლის მორჯულება“. მოდერნისტული დადგმა. თანამედროვე მოწყობილებით და კოსტიუმებით. სიმებიანი ორკესტრი. დადგმა რეჟისორის ფ. რადოლინისა.

—

**„სულ უმთავრესი“.** კ. მარჯანიშვილი რუსულ დასში დასადგმელად ამზადებს ნ. ევრეინოვის პიესას „სულ უმთავრესი“.

—

**რუსული დრამა.** სამშაბათს, 4 დეკემბერს, ამ სეზონში პირველად წარმოადგენენ ნემიროვიჩ-დანჩენკოს პიესას „ცხოვრების ფასი“ 4 მოქმედ. პიესაში პირველად მონაწილეობას მიიღებს მსახიობი ქალი ლ. გ. ბაკშინა.

—

**ძმ. ტანტების ცირკი.** დღეს, 1 დეკემბერს, გაიმართება გრანდიოზული წარმოდგენა, საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით. მესამე განყოფილებაში გამოვა ცნობილი იუმორისტი-სატირი. მოსკოვის სახელმწიფო ცირკის მსახიობი ვ. ლაზარენკო, სრულიად ახალის პროგრამით. ამასთანავე მონაწილეობას მიიღებენ ძმები ალფონსები, სიცილის პროფესორები და სხვა მრავალი ნომრები.

—

**რუსთაველის თეატრში.** დღეს, 1 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება პროფკავშირების წევრთათვის დ. კლდიაშვილის პიესები „დარისპანის გასაჭირი“ „ირინეს ბედნიერება“ და „უბედურება“ დასდგავს რეჟისორი ა. ფალავა დეკორაციები მხატვარის ვ. სიდამონ-ერისთავისა.

—

**„გმირი“.** კვირას რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება მესამედ „გმირი“ კომედია 3 მოქმედებათ ჯონ-სინგისა. თარგმ. გ. რობაქიძისა დადგმა კ, მარჯანიშვილისა.

**სახელმწიფო ოპერა.** დღეს 1 დეკემბერს პროფკავშირების წევრთათვის წარმოდგენილი იქნება. ვ. დოლიძის კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“ 3 მოქმ. სამშაბათს წარმოდგენილი იქნება ოპერა „ტოსკა“ კვირას წარმოდგენა არ იქნება.

—

**აკოფ აკოფიანის** იუბილე კვირას 2 დეკემბერს სახელმწიფო ოპერის თეატრში შესდგება პროლეტარულ პოეტის აკოფ აკოფიანის 30 წლის სალიტერატურო მოღვაწეობის აღსანიშნავად იუბილე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.